შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი,

- მიისწრაფვიან რა, ხელი შეუწყონ, განამტკიცონ და გააღრმავონ თანამშრომლობა პოლიციის სფეროში;

- ითვისებენ რა, ორივე ქვეყანაში საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას;

- ითვალისწინებენ რა, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობისა და საერთაშორისო დანაშაულის სხვა ფორმების გავრცელების საშიშროებას, რომელიც ემუქრება ორივე ქვეყნის უსაფრთხოებასა და სხვა არსებით ინტერესებს;

- გამოთქვამენ რა სურვილს, კოორდინირება გაუწიონ საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სფეროში თავიანთ საქმიანობას;

- ითვალისწინებენ რა, ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა შორის 1999 წლის 19 მარტს ხელმოწერილ მემორანდუმს;

- ეყრდნობიან რა, 1961 წლის 30 მარტის ერთიან კონვენციას ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1972 წლის 25 მარტის ოქმით მასში შეტანილი ცვლილებებით, 1971 წლის 21 თებერვლის კონვენციას ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 20 დეკემბრის კონვენციას ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, აგრეთვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2000 წლის 15 ნოემბრის კონვენციას

www.ris.bka.gv.at

- თითოეული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
თანამშრომლობის სფერო და მიზნები

მხარეები იღებენ ვალდებულებას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ქმედებების თავიდან აცილების და გამოვლენის მიზნით ითანამშრომლონ და გაუწიონ ერთმანეთს სამართლებრივი დახმარება. თანამშრომლობა მხარეთა კომპეტენციის ფარგლებში მოიცავს შემდეგ სფეროებს:

a) ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და მათი დამზადებისათვის საჭირო ნივთიერებების უკანონო წარმოება, იმპორტი, ექსპორტი, უკანონო ტრანსპორტირება და ვაჭრობა;
b) საერთაშორისო ექსტრემიზმი და ტერორიზმი;
c) საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის სხვა ფორმები, ადამიანებით ვაჭრობის, უკანონო მიგრაციის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ფულის და საბუთების გაყალბების და ფულის გათეთრების ჩათვლით.

მუხლი 2
თანამშრომლობის ფორმები

1. წინამდებარე შეთანხმების მიხედვით მხარეებს შორის თანამშრომლობა განხორციელდება შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში, შემდეგ სფეროებში და მოიცავს:

a) ორმხრივ ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რომელთა ცოდნას შეუძლია წვლილი შეიტანოს ისეთი საფრთხის თავიდან აცილებაში, რომელიც ემუქრება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და წესრიგს, კანონით დასჯადი ქმედებების თავიდან აცილებასა და გამოვლენას;
პირადი მონაცემების შესახებ ინფორმაციის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ზემოაღნიშნული ქმედებების გამოსავლენად;

www.ris.bka.gv.at

b) ურთიერთდახმარებას პიროვნებისა და საგნების ძებნაში;
c) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის, აგრეთვე კანონით დასჯადი ქმედებების თავიდან აცილებისა და გამოვლენის მიზნით შესაბამისი სახელწიფოს ტერიტორიაზე მხარეთა მიერ შეთანხმებული პოლიციური ღონისძიებების გატარებას;
d) ურთიერთდახმარებას უკანონო მიგრაციის სფეროში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულით დაზარალდა რომელიმე მხარის მოქალაქე, აგრეთვე ამისთვის საჭირო ყველა საორგანიზაციო ღონისძიებას;
e) კვლევის შედეგების, აგრეთვე კანონმდებლობის გამოყენების, დანაშაულის შესახებ გაფრთხილების, ისევე როგორც გამოყენებული მეთოდების, საშუალებების, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გამოცდილების გაზიარებას;
f) დანაშაულის აღკვეთის განსაზღვრულ სფეროებში ექსპერთა გამოცდილების გაზიარებას და ექსპერთა შეხვედრების ორგანიზებას;

2. მოთხოვნის საფუძველზე შეთანხმების მხარეები დახმარებას უწევენ ერთმანეთს.

3. პირველი პუნქტის a და f ქვეპუნქტების მიხედვით, ყოველი მხარე საკუთარი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაშიც აწვდის მეორე მხარეს ინფორმაციას, რომლის ცოდნაც მეორე მხარისთვის აუცილებელია ისეთი საფრთხის თავიდან აცილებისთვის, რომელიც ემუქრება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და წესრიგს, აგრეთვე აუცილებელია კანონით დასჯადი ქმედებების თავიდან აცილებისა და გამოვლენისთვის. აღნიშნულით მხარეები ეხმარებიან ერთმანეთს განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთ-ერთი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე ჩადენილია ან მზადდება დანაშაული და არსებობს ინფორმაცია, დანაშაულის კავშირისა მეორე მხარის სახელმწიფო ტერიტორიასთან.

4. მხარეებს შორის თანამშრომლობა შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს მოკავშირე სახელწიფო მოხელის მეშვეობით. აღნიშნული მოხელე დაკავებული იქნება საინფორმაციო და საკონსულტაციო საქმიანობით და არ ისარგებლებს აღმასრულებლის უფლებებით. მოკავშირე სახელწიფო მოხელის უფლება-მოვალეობები დგინდება კომპეტენტური ორგანოს მიერ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად. მოხელის

www.ris.bka.gv.at

დანიშვნა და მივლინებაში გაგზავნა არ მოითხოვს ორივე მხარის მონაწილეობას.

მუხლი 3
კომპეტენტური ორგანოები

1. წინამდებარე შეთანხმების მიხედვით და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, მხარეთა კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ:

   a) ავსტრიის მხრიდან: შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი;
   b) საქართველოს მხრიდან: შინაგან საქმეთა სამინისტრო;

2. მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს აღნიშნული ორგანოების კომპეტენციის ან დასახელების მოსალოდნელი ცვლილების თაობაზე.

3. ინტერპოლის ფარგლებში მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს კომპეტენტური ორგანოების უშუალო ურთიერთობით.

მუხლი 4
მოთხოვნის შინაარსი, ფორმა და გადაცემა

1. მოთხოვნა შეიცავს:

   a) მოთხოვნის წარმდგენი და მოთხოვნის მიმღები კომპეტენტური ორგანოების დასახელებას;
   b) მოთხოვნის საგანს;
   c) მოთხოვნის მიზანს და დასაბუთებას;
   d) საქმის ვითარების აღწერას;
   e) მოქმედების აღწერას, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის საგანს და აღნიშნული ქმედების სამართლებრივ კვალიფიკაციას;
   f) შესრულების ვადას, ასევე სასწრაფო ხასიათის დასაბუთებას.
   g) დაზარალებული პირის პირად მონაცემებს, რამდენადაც ეს საჭიროა მოთხოვნის შესასრულებლად
   h) ყველა დანარჩენ საჭირო მონაცემს, რომელიც მოთხოვნის ეფექტურად შესრულებისათვის არის მნიშვნელოვანი.

www.ris.bka.gv.at

2. თუ ერთი მხარის კომპეტენტურ ორგანოს მოთხოვნის შესრულებისთვის სჭირდება დამატებითი ინფორმაცია, მას შეუძლია ის მომთხოვნი მხარისაგან მოითხოვოს.
3. მოთხოვნა და მისი შესრულება ფორმდება წერილობით. გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება მოთხოვნა ზეპირსიტყვიერადაც ჩამოყალიბდეს, რაც სწრაფად უნდა იქნას წერილობით დადასტურებული. მოთხოვნის სისწორესა და შინაარსთან დაკავშირებით ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლებელია დამატებითი დასტურის მოთხოვნა.
4. მოთხოვნა სრულდება მომთხოვნი მხარის მშობლიურ ენაზე, მოთხოვნის მიმღები მხარის ენაზე თარგმანის დართვით ან ინგლისურ ენაზე. იგივე პირობები მოქმედებს მოთხოვნის შესრულებაზე.

მუხლი 5
მონაცემთა დაცვა

მხარეებს შორის პიროვნებების შესახებ მონაცემების (შემდგომში მონაცემები) გაცვლა ხორციელდება შესაბამისი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით მოთხოვნის წარმდგენი ორგანოს მიერ დაკისრებული ვალდებულების და შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც თანაბრად გამოიყენება მონაცემების როგორც ავტომატურად, ასევე არაავტომატურად დამუშავების შემთხვევაში:

a) გადაცემული მონაცემები უნდა იყოს დამუშავებული და დაცული მხარეთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ წინასწარ დადგენილი იმ მიზნებისთვის, რომელიც საფუძვლად უდევს მოთხოვნას.

b) მონაცემები, რომლებიც შეეხება რასობრივ წარმომავლობას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ ან სხვა მრწამს, ასევე მონაცემები ჯანმრთელობასა და სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით არ შეიძლება დამუშავდეს, თუ არ ხდება მათი დაცვა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. იგივე ვრცელდება სასამართლო განაჩენებზე.

c) გადაცემული მონაცემები გადამცემი კომპეტენტური ორგანოს თანხმობის გარეშე არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მიზნით, გარდა იმ მიზნისა, რომლისთვისაც ის იქნა გადაცემული.

www.ris.bka.gv.at

d) გადაცემული მონაცემები უნდა განადგურდეს, ან შესაბამისად გასწორდეს დაუყოვნებლივ, თუ:

i. მონაცემები არასწორია და ამის მიზეზია უწყება ან ეს უზუსტობა დაზარალებულის შეტყობინების საფუძველზე იჩენს თავს;
ii. მონაცემთა გადამცემი ორგანო იუწყება, რომ მიწოდებული მონაცემები უკანონოდ გაიცა ან გადაიცა, ან კანონიერად მიწოდებული მონაცემები გადამცემი ორგანოების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად მოგვიანებით უნდა განადგურდეს; ან
iii. მონაცემები აღარ არის საჭირო გადაცემის პროცესის ხელმძღვანელი სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემების სხვა მიზნებისთვის გამოყენების კონკრეტული უფლებამოსილება;

e) მონაცემების გადამცემი ერთი მხარის კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში მოთხოვნის მიმღებმა ორგანომ ინფორმაცია უნდა გასცეს მიღებული მონაცემების ყოველგვარი გამოყენების შესახებ.

f) მონაცემების გადამცემი კომპეტენტური ორგანო ადგენს გადაცემული მონაცემების სისწორეს და აქტუალობას. ამასთანავე, ის ვალდებულია, ყურადღება მიაქციოს აუცილებლობას და ფარდობითობას გადაცემის მიზანთან დაკავშირებით, ასევე მოქმედ მონაცემთა შესაბამისი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული გადაცემის აკრძალვის დაცვას. თუ აღმოჩნდება, რომ არასწორი მონაცემები, რომელიც არ უნდა გადაცემულიყო, მაინც გადაიცა ან კანონიერად გადაცემული მონაცემები გადამცემი მხარის სახელმწიფო ორგანოების ნორმატიული აქტის თანახმად, მოგვიანებით უნდა განადგურდეს, ამის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს მიმღებ ორგანოს. აღნიშნულმა ორგანომ თავის მხრივ სასწრაფოდ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა განადგურება ან შეასწორება.

g) თუ მონაცემების მიმღებ ორგანოს აქვს ვარაუდის საფუძველი, რომ გადაცემული მონაცემები არასწორია ან გასაუქმებელია, მან აუცილებლად უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მონაცემების გადამცემ ორგანოს;

h) მხარეები წინასწარ იზრუნებენ, რომ მონაცემთა გადაცემისთვის გამოყენებულ იქნას კომუნიკაციის მხოლოდ ისეთი საშუალებები, რომელნიც შესაბამისად იქნება დაცული მონაცემთა უკანონოდ გაცნობისგან ან გადაცემის პროცესის დროს მესამე პირის მიერ მათში ცვლილებების შეტანისგან;

i) მონაცემთა მიმღები ორგანო ვალდებულია გადაცემული მონაცემები ეფექტურად დაიცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, ცვლილებების შეტანისა და უცხო პირზე გადაცემისგან, უკანონო დაშვებისა და გამოქვეყნებისგან;

j) მონაცემთა გადამცემი და მიმღები ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს მონაცემთა გადაცემა, მიღება და განადგურება. დოკუმენტაცია შეიცავს გადაცემის მიზეზს, შინაარსს, მონაცემთა გადამცემი და მიმღები ორგანოების დასახელებას, გადაცემის დროს, აგრეთვე მონაცემთა განადგურების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული ჩანაწერები შესაბამისი ზომების გატარებით დაცული უნდა იქნას უცხო პირთა მიერ ბოროტად გამოყენების ან სხვა არამიზნობრივი სარგებლობისაგან, მონაცემები შენარჩუნებულ უნდა იქნას სამი წლის მანძილზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. მონაცემების დოკუმენტაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმის გასაკონტროლებლად, რათა მონაცემთა დაცვა მოხდეს კანონის შესაბამისად;

k) ყოველ დაზარალებულს აქვს უფლება მისი პიროვნების დადასტურების შემთხვევაში და მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს წინადადების საფუძველზე ყველასთვის გასაგები ფორმით და არაგონივრული შეყოვნების გარეშე მიიღოს ინფორმაცია მის პიროვნებასთან დაკავშირებული წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში გადაცემული ან დამუშავებული მონაცემების შესახებ, ასევე მათი წარმომავლობის, შესაძლებელი ადრესატის და ადრესატთა კატეგორიის, გამოყენების წინასწარ გათვალისწინებული მიზნის და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ, ასევე მცდარი მონაცემების გასწორებისა და უკანონოდ გამოყენებული მონაცემების განადგურების მიზნით. შეთანხმების მხარეები ადგენენ, რომ მონაცემთა დაცვის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 6-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად (ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია), დაზარალებულს უფლება აქვს იჩივლოს

დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში. დაზარალებულს ეძლევა აგრეთვე შესაძლებლობა, მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება ან სხვა სახის დახმარება. აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცესის დეტალები ემყარება იმ მხარის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, რომელთანაც ეს ვრცელდება. აღნიშნული უფლებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ორგანო, რომელიც ფლობს მონაცემებს, მონაცემთა გადამცემ ორგანოს მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე აძლევს პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობას.

მუხლი 6
საიდუმლოს დაცვა

წინამდებარე შეთანხმების შესრულებისათვის მიღებულ კლასიფიცირებულ ინფორმაციას, რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი გრიფი, მიმღები მხარე ანიჭებს საიდუმლოების და დაცვის მინიმუმ ისეთივე ხარისხს, როგორიც მას მინიჭებული აქვს ინფორმაციის გადამცემი მხარის მიერ.

მუხლი 7
კონსულტაციები

საჭიროების შემთხვევაში, მხარეების ხელმძღვანელ პირებს შეუძლიათ გამართონ კონსულტაციები, წინამდებარე შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების საშუალებებისა და გზების განხილვის მიზნით, ასევე მიიღონ სათანადო ზომები თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 8
ხარჯები

წინამდებარე შეთანხმების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯებს თითოეული მხარე თავად დაფარავს, თუ გამონაკლისი შემთხვევებისთვის სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული.

www.ris.bka.gv.at

მუხლი 9
უარის თქმა გამონაკლის შემთხვევაში

1. თუ შეთანხმების ერთ-ერთი მხარე თვლის, რომ მოთხოვნის განხორციელება ან სხვა სახის თანამშრომლობა საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგს, ქვეყნის მნიშვნელოვან ინტერესებს ან არღვევს ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად თქვას უარი დახმარებაზე და განსაზღვრული პირობები წამოაყენოს.

2. მოთხოვნის წარმდგენ მხარეს უნდა ეცნობოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ შესაბამისი მიზეზების მითითებით.

მუხლი 10
დავის დარეგულირება

1. წინამდებარე შეთანხმების განმარტების ან განხორციელების დროს წარმოშობილი აზრთა სხვადასხვაობები მხარეთა შორის კონსულტაციების გზით უნდა გადაწყდეს.

2. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას კონსულტაციების გზით, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით, დავა შეიძლება მოგვარდეს მოლაპარაკებების გზით, დიპლომატიური არხების მეშვეობით.

მუხლი 11
დამოკიდებულება სხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან

წინამდებარე შეთანხმება არ ზღუდავს მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობენ სხვა ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებიდან.

მუხლი 12
შეთანხმების ძალაში შესვლა, ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახემლწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი შეტყობინების მიღებიდან მესამე თვის პირველ დღეს.

www.ris.bka.gv.at

2. წინამდებარე შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით. მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ წინამდებარე შეთანხმების მოქმედება ნებისმიერ დროს წერილობითი შეტყობინების საშუალებით. შეთანხმება მოქმედებას წყვეტს შეტყობინების მიღებიდან მეორე თვის პირველ დღეს

3. შეთანხმებაში, მხარეთა წერილობითი თანხმობით, ოქმის სახით შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები. ცვლილებები ძალაში შედის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

შესრულებულია ქ. ვენაში, 2010 წლის 22 თებერვალს, ორ დედნად, თითოეული გერმანულ და ქართულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი	**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი**
მარია ტერეზია ფეკტერი	**ივანე მერაბიშვილი**

REPUBLIK ÖSTERREICH BUNDESKANZLERAMT AMTSSIGNATUR	Unterzeichner	serialNumber=1026761,CN=Bundeskanzleramt,C=AT
	Datum/Zeit	2017-11-27T20:47:28+01:00
	Prüfinformation	Informationen zur Prüfung des elektronischen Siegels bzw. der elektronischen Signatur finden Sie unter: https://www.signaturpruefung.gv.at Informationen zur Prüfung des Ausdrucks finden Sie unter: https://www.bka.gv.at/verifizierung
	Hinweis	Dieses Dokument wurde amtssigniert.